

# ანგარიში/ 2019

# ST,




საქართველოს ინტელექტუალური  
საკუთრების ეროვნული ცენტრი

**საქპატენტი**

**SAKPATENTI**  
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY  
CENTER OF GEORGIA


[www.sakpatenti.gov.ge](http://www.sakpatenti.gov.ge)






# სარჩევი

<b>5</b>	ლონისძიებები
<b>22</b>	საერთაშორისო ურთიერთობები
<b>28</b>	კონფერენციები
<b>33</b>	სასაქონლო ნიშანი
<b>35</b>	გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება
<b>37</b>	დიზაინი
<b>39</b>	გამოგონება და სასარგებლო მოდელი
<b>41</b>	მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები
<b>43</b>	საავტორო უფლებები
<b>44</b>	კანონშემოქმედება და სამართალწარმოება
<b>45</b>	ფინანსები
<b>46</b>	საზოგადოებასთან ურთიერთობა
<b>47</b>	საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა
<b>48</b>	სტატისტიკური მონაცემები
<b>60</b>	სამოქმედო გეგმა 2020



# ღონისძიებები



# ლონისძიებები / 2019

## იანვარი

11



საქპატენტი შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) მიერ ადმინისტრირებად პროგრამას – „მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერს (MGS)“. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ქართველ მომხმარებლებს, საერთაშორისო განაცხადის წარდგენისას, შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ქართული ინტერფეისით და საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალი შეადგინონ ქართულ ენაზე, რაც მათ გაუადვილებს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელებას.

21



საქპატენტს ეწვივნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. შეხვედრა მოეწყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის „E Pluribus Unum“-ის წევრების ინიციატივით, რომლებიც დაინტერესდნენ საქპატენტის საქმიანობით და სურვილი გამოთქვეს ტრენინგის სახით გაცნობოდნენ საქპატენტში მიმდინარე პროცესებს.

28



საქპატენტის მოადგილემ, მანანა ფრუიძემ, მონაწილეობა მიიღო „საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების პროექტის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. აღნიშნული შეთანხმების პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება მხარეთა შორის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, რაც, ასევე, მოიცავს გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვას.

აღნიშნული შეთანხმება ჩაანაცვლებს, ბრექსიტის შემდგომ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ ასოცირების შეთანხმებას. დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს და ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს სტრატეგიული პარტნიორობისთვის, ასევე, უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შენარჩუნებას საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, რომელთანაც გაერთიანებული სამეფო მსგავსი სახის შეთანხმებას გააფორმებს.

30



საქპატენტის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კულინარიულ გამოფენაში Sirha 2019. გამოფენა ხელს შეუწყობს საქართველოს როგორც ქართული გასტრონომიის პოპულარიზაციას, ისე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას. ღონისძიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ასევე, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პოპულარიზაცია და მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრისათვის მათი გაცნობა (საფრანგეთი, ლიონი).

## 8



ქართულ ენაზე, გაგრძელდა უფასოდ ხელმისაწვდომი DL101-GE – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების კურსის „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი“ ჩატარება. მისი გავლა ნებისმიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით დაინტერესებულ პირს შეუძლია. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მონაწილეებს გადაეცემათ WIPO-ს აკადემიის მიერ გაცემული სერტიფიკატი.

## 19



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ოფისში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაფინანსებული პროექტის „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ ფარგლებში. ევროკავშირისა და საფრანგეთის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, განხილულ იქნა გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების შედგენის, წარმოშობის ადგილსა და საბოლოო პროდუქტს შორის კავშირის დადგენისა, სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანის საკითხები.

## 26



საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის განმტკიცების მხრივ გატარებული წარმატებული რეფორმები და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან წარმატებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს WIPO-ს გენერალურმა დირექტორმა ფრენსის გარიმ და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა. შეხვედრაზე აღინიშნა ორგანიზაციასთან წარმატებული თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სტრატეგიის, საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის და ამ სფეროში სხვადასხვა ინიციატივების დანერგვის კუთხით (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

## 6




კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მიერ ორგანიზებულ სემინარს დაესწრო საქპატენტის წარმომადგენელი, რომელიც გაცნო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებთან დაკავშირებით EUIPO-ს უახლეს პრაქტიკას. სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ნიშნის აღწერილობითობის და არაგანმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმებზე, ასევე, ფერადი, სამგანზომილებიანი, ხმოვანი და მოძრავი სასაქონლო ნიშნების განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმების შესახებ და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების პრაქტიკას აღნიშნული ტიპის ნიშნებთან მიმართებით (ესპანეთის სამეფო, ალიკანტე).

## 15



საქპატენტში კიდევ ერთი ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება – „ბოლნისი“ დარეგისტრირდა. ღვინო „ბოლნისის“ ადგილწარმოშობის დასახელებად დაცვა ხელს შეუწყობს მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარე ბაზრებზე, ვინაიდან მომხმარებელს ამგვარი დასახელებებით დაცული პროდუქტი მიანიშნებს მის მაღალ ხარისხსა და განსაკუთრებულ თვისებებზე. „ბოლნისის“ მიკროზონა მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ადგილწარმოშობის დასახელება ღვინო „ბოლნისის“ საქპატენტში დარეგისტრირდა ააიპ გაერთიანება „ბოლნური ღვინის“ მიერ.

20



სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოში (SDSU-Georgia) – ორგანიზებით ყოველწლიური დასაქმებისა და სტაჟირების გამოფენა გაიმართა, რომლის მიზანია, ერთმანეთს დააკავშიროს უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები და მათი მომავალი დამსაქმებლები. სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად, ფორუმში მესამედ მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი. გამოფენაზე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტებს საქპატენტის წარმომადგენლებმა საქპატენტში სტაჟირების და დასაქმების შესაძლებლობები გააცნეს.

28



„საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის (Twinning) პროექტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა, სადაც მხარეებმა განიხილეს და ხელი მოაწერეს პროექტის განხორციელების პირველი ექვსი თვის სამოქმედო გეგმას. პროექტი ხორციელდება იტალიისა და საფრანგეთის კონსორციუმთან ერთად, ძირითადი ბენეფიციარია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი და პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობას და ევროკავშირში არსებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან ჰარმონიზებას (საქართველო, მცხეთა).

29



ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებული პროექტები გამოავლინა. ფინალში გასულ ერთ-ერთ გუნდს სახელწოდებით „მომავალი მშენებლები“ (თელავის ევროპული სკოლა) პროექტისთვის „უცემენტო ბეტონი“ საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსმა, მერაბ ჯუციამ გადასცა საქპატენტის სპეციალური პრიზი, გუნდის თითოეულ წევრს 300 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ემსახურება ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც გაზრდის მათ მოტივაციას აღნიშნულ დისციპლინებში და ხელს შეუწყობს ქვეყანაში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ახალ მიღწევებს.

8



მუშაობა დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინების კანონის მუდმივმოქმედი კომიტეტის 41-ე სესიამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინების დეპარტამენტის უფროსმა. სესიაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, საქართველოსა და WIPO-ს 11 წევრი ქვეყნის მიერ წარდგენილი ორი წინადადება: ქვეყნის სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვის შესახებ (დოკუმენტი – SCT/39/8 Rev.3) და დომენური სახელების სისტემაში (DNS) ქვეყნის სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვის შესახებ (დოკუმენტი – SCT41/6) (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

აპრილი

8

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინების დეპარტამენტის უფროსმა, ირაკლი კასრაძემ შეხვედრა გამართა გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო ალიანსის, OriGIn-ის ხელმძღვანელობასთან, სადაც განხილულ იქნა OriGIn-ის 2019 წლის გენერალური ასამბლეის თბილისში ჩატარების დეტალები (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

8

საქპატენტის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა OriGIn-ის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომლის მიზანიც იყო WIPO-ს წევრ ქვეყნებს შორის ცნობიერების ამაღლება, უცხო ქვეყნების იურისდიქციებსა და ინტერნეტში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის გამართიერების მიმართულებით (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

8

საქპატენტის წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა უკრაინელ კოლეგებთან, რომელმაც განიხილეს „საქართველოსა და უკრაინას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთალიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოსაწერად მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

8

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტაჟირების პროექტში სახელმწიფო ორგანოთა თანამშრომლებისთვის, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის პროექტის ფარგლებში და ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების იმპლემენტაციის ხელშეწყობას საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. შედეგად, შესაძლებელი გახდა ხორვატიის პრაქტიკის გაცნობა და გამოცდილების შესწავლა, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული გამოწვევების გადალახვის, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების და პრაქტიკაში სწორად დანერგვის მიზნით (ზაგრები, ხორვატია).

15



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თანამშრომლობით, ქართულ ენაზე, უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა, WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსი „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი (DL101GE)“. მისი გავლა ნებისმიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით დაინტერესებულ პირს შეუძლია. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსის მონაწილეებს გადაეცემათ WIPO-ს აკადემიის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია WIPO-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ცალკეული დარგების სწავლების განვითარებული საფეხურის კურსების შესწავლა.

18



საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობისა და ევროკავშირში არსებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან ჰარმონიზების მიზნით, დაიწყო სამუშაო შეხვედრების სერია, რაც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის (Twinning) პროექტის განხორციელების პირველი ეტაპის ფარგლებში მიმდინარეობდა. საქართველოს ენჯინერ იტალიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც დეტალურად გააცნეს საქპატენტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ევროკავშირში, მათ შორის, იტალიაში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა და არსებული კონტროლის სისტემა. თავის მხრივ, იტალიელი ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ სფეროში საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ბაზას და პრაქტიკას, რის შემდგომ შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები და დასკვნები.



22



საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში დაიწყო სასწავლო კურსი „საპატენტო ძიება“, რომელიც მოიცავდა საპატენტო სისტემის მიმოხილვას და საპატენტო-საინფორმაციო ძიების ტექნიკის გაცნობას. კურსი განკუთვნილი იყო უნივერსიტეტების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებისთვის. კურსის მიზანი გახლდათ მონაწილეებს მიეღოთ საბაზისო ცოდნა საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელობის, ძირითადი საძიებო სისტემების და საძიებო ტექნიკის შესახებ. აღნიშნული ცოდნა კურსის მონაწილეებს დაეხმარება მათი საქმიანობის სფეროში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობაში, საპატენტო განაცხადის მომზადებამდე ტექნიკის დონის პირველად შეფასებაში და საპატენტო განაცხადის მომზადების და საქპატენტში წარდგენის უკეთესად დაგეგმვაში.

23



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების უწყების წარმომადგენელი დაესწრო სემინარს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემის შესახებ, საერთაშორისო განაცხადების შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით. სემინარზე განხილული იყო მადრიდის სისტემის სიახლეები ელექტრონული სისტემების განვითარების საკითხში, წვერი ქვეყნების როლი საერთაშორისო განაცხადის რეგისტრაციის პროცესში (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

26



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის, 26 აპრილის სლოგანად დასახელდა: „იბრძოლე ოქროსათვის: ინტელექტუალური საკუთრება და სპორტი“. 2019 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის კამპანიის ფარგლებში, ყურადღება გამახვილებული იყო სპორტის სამყაროს უფრო ახლოს გაცნობაზე, მასში ინოვაციების, შემოქმედებითი საქმიანობისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის როლზე სპორტის განვითარების მხარდაჭერაში. 2000 წლიდან, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) წვერი ქვეყნების მიერ, 26 აპრილს, ყოველწლიურად აღინიშნება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე. ამ თარიღთანაა დაკავშირებული, 1970 წელს, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის ძალაში შესვლა. აღნიშნულ დღეს ყველას ეძლევა საშუალება გააცნობიეროს, თუ რა წვლილი შეაქვს ინტელექტუალურ საკუთრებას მუსიკის, ხელოვნებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებას.

მაისი

5



პროექტის „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ ფარგლებში, გაიმართა რიგით მეორე, მაღალი დონის კონფერენცია ინტელექტუალური საკუთრების საკითხებთან დაკავშირებით. „ახალი აბრეშუმის გზის – ეკონომიკური სარტყელი“, რომლის მიზანია ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, კონფერენციაზე მიწვეული იყო მომხსენებლად და უწყების წარმომადგენელმა ლონისძიების მონაწილეებს გააცნო საქპატენტის გამოცდილება (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩენდუ).

# 7



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი ორგანიზებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) თანამშრომლობით, გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის – დიზაინის, როგორც ბიზნესის წარმატებისა და პროდუქტის ეკონომიკური ღირებულების გაზრდის მნიშვნელობის განხილვას. ასევე, ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნული ობიექტის პოპულარიზაციას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან დიზაინის დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და აღნიშნული მიმართულების განვითარებას.

# 13



„საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია მეორე მისია იტალიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთა შემადგენლობით. პროექტი, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის (Twinning) პროექტის ფარგლებში, ითვალისწინებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების არსებული სისტემის განვითარებას. შეხვედრაზე განიხილებოდა „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი, ასევე, დეტალურად იქნა შესწავლილი აღნიშნული ცვლილებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი. პროექტის მთავარი ბენეფიციარია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, რომელსაც საშუალება ეძლევა გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართულებით, წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით, შექმნას ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური მექანიზმები, რომლებიც გააძლიერებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის სისტემას, ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში კომპეტენციის გაზრდასა და ცოდნის გაღრმავებას.

# 15




გაიმართა საქპატენტის ხელმძღვანელობის შეხვედრა საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის გენერალურ მრჩეველთან, პიტერ დევიდსონთან. მხარეებმა განიხილეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი და CLDP-ს თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და სამომავლო ერთობლივი პროექტები. კერძოდ, CLDP-ის დაფინანსებით მიმდინარე ღონისძიებები, რომელთა მიზანია სხვადასხვა მიზნობრივი აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. უწყება ყოველწლიურად უწევს ორგანიზებას ტრენინგებს მოსამართლეების, ჟურნალისტების, ადვოკატებისა და სტუდენტებისათვის, ასევე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ექსპერტების სასწავლო ვიზიტებს აშშ-ში და ამერიკელი ექსპერტების ვიზიტებს საქართველოში, ქართველი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. CLDP-ის მხარდაჭერით, ყოველწლიურად საქპატენტი ორგანიზებას უწევს კონფერენციას – „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ“ (საქართველო, მცხეთა).

18



მევენახეთა სექტორში არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამართულ მევენახეთა პირველ კონფერენციამ, რომლის მხარდამჭერი იყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი. შეხვედრაზე განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და კონტროლის სისტემა, გაცნენ წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას და იმსჯელებს მძლავრი ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ინსტიტუტების, ადგილობრივი სპეციალისტების კომპეტენციის გაზრდას და ცოდნის გაღრმავებას. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის აგროპოლიტიკის მიდგომებზე, სადაც გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალება და მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების ქმედითი ინსტრუმენტია (საქართველო, გურჯაანი)

20



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) კვლევებისა და ინოვაციების ჰაბში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ფაკულტეტების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საჭიროების შესახებ. ასევე, მათ მიიღეს ინფორმაცია საპატენტო სისტემასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სერვისებზე.

20



უწყების ბაზაზე არსებულ სასწავლო ცენტრში, რიგით მეორედ, ჩატარდა სასწავლო კურსი, ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ, საპატენტო სფეროში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობის, საპატენტო განაცხადის მომზადებამდე ტექნიკის დონის პირველადი შეფასებისა და საპატენტო უწყებაში განაცხადის წარდგენის დაგეგმვის შესახებ. კურსს დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, დავით ტვილიდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის და რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

27



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყების წარმომადგენელი დაესწრო ევროპის საპატენტო უწყების აკადემიის მიერ ორგანიზებულ კურსს OS27-2019 მოქმედების თავისუფლება (Freedom to Operate), რომელიც ეხებოდა საპატენტო-საინფორმაციო ძიების ერთ-ერთ სახეობას – მოქმედების თავისუფლების ძიებას (FTO). მიჯლინების მიზანს წარმოადგენდა უწყებაში მოქმედების თავისუფლების ძიების სერვისის დანერგვისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება (საფრანგეთი, ლილი).

## 4



უნყების დელეგაცია დაესწრო საერთაშორისო კონგრესს თემაზე: „TRIPS-ის მოქნილი რეგულაციების გამოყენება აივ ინვესტიის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში“, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას და საქართველოში არსებული საკანონმდებლო ცვლილებების პრეზენტაციას სავალდებულო ლიცენზიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (უკრაინა, კიევი).

## 9



შედგა საქართველოს დელეგაციის პირველი სასწავლო ვიზიტი, Twinning-ის პროექტის – „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და კონტროლის სისტემის ეფექტური დანერგვა“ ფარგლებში. ბენეფიციარების მასშტაბული იყო იტალიის სოფლის მეურნეობის, კვების, მეტყვევობის და ტურიზმის სამინისტრო, რომელთაც დელეგაციის წევრებს გააცნეს ქვეყნის გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემის სპეციფიკა (იტალიის რესპუბლიკა).

## 19



გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ ორგანიზებულ ტუნისის ტრადიციული საკვები პროდუქტების მეორე შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა უწყების წარმომადგენელმა, რომელმაც წარადგინა პრეზენტაცია „საქართველოში ტრადიციულ საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების მიმოხილვა“. შეჯიბრის მიმდინარეობისას მოხდა ტრადიციული საკვებისთვის დამატებითი ღირებულების მიმატების შესახებ, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ საკუთარი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. განსახილველი საკითხები, ასევე, მოიცავდა ტრადიციულ საკვებთან დაკავშირებით პოლიტიკის განსაზღვრას, ეტიკეტირების სისტემას, სპეციფიკურ პროექტებსა და ხელისშემწყობ ქმედებებს (ტუნისი, ტუნისი).

## 25



საქპატენტმა პანკისელ მოსწავლეებს უმასპინძლა, შეხვედრა „ჯუნიორ ენვიმენტი საქართველო“-ს (JA Georgia) ინიციატივით მოეწყო, რომელიც ახორციელებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „პანკისის სათემო კავშირები“ ქვეპროექტს „საბაზო ბიზნეს კონცეფციები დაწყებით განათლებაში“ პანკისის სკოლებში. შეხვედრაზე მოსწავლეებს მიენოდა ვრცელი ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ფუნქციონირებისა და საქპატენტის საქმიანობის შესახებ, ყურადღება გამახვილდა ინტელექტუალური საკუთრების ცალკეულ ობიექტებზე და მათი სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობასა და როლზე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში (საქართველო, მცხეთა).

## 1



ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის (EUIPO) და ევროპის საპატენტო ორგანიზაციის (EPO) ინტელექტუალური საკუთრების აღმასრულებელი კვირის სესიაში მიიღო მონაწილეობა უწყების წარმომადგენელმა, რომელიც გაეცნო დარგში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით მოხსენებებს. სესიის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაგეგმილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, დეტალების განხილვა მოხდა EUIPO-ში საქართველოს კოორდინატორებთან (ესპანეთის სამეფო, ალიკანტე).

5



ჩატარდა რიგით მე-4 საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia), ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) თანამშრომლობით. 25-მა სტუდენტმა 10 ქვეყნიდან ევროპული და ქართული უნივერსიტეტებიდან მოისმინეს საქპატენტის ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სპეციალისტების ლექციები ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის საშუალებების შესახებ. საქართველო უკვე მეოთხედ წარმატებით შეუერთდა იმ 22 ქვეყანას, სადაც სასწავლო კურსს უძღვებიან გამოცდილი დარგობრივი სპეციალისტები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარჩინებულ სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ხელს უწყობენ მათი ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

12



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქპატენტის წარმომადგენლებმა გაიარეს კურსი სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, მაროკოს ინტელექტუალური საკუთრების უწყებისა და საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ. კურსი ემსახურებოდა სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული ევროკავშირის, საფრანგეთისა და მაროკოს კანონმდებლობის გაცნობას და ექსპერტიზასთან დაკავშირებული სიახლეების შესწავლას (კასაბლანკა, მაროკო).

18



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. კონფერენცია 2019 წელს მეხუთედ გაიმართა და მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოწვევების შესახებ, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას (საქართველო, ბათუმი).

20



ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა. ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს და დაეხმარება ქართველ მოსამართლეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იმპლემენტაციაში (საქართველო, ბათუმი).

# 20

უნცების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ მადრიდის სისტემის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის საერთო რეგულაციებში შემოთავაზებული ცვლილებების განხილვა, სადაც დაფიქსირდა საქართველოს პოზიციები (ჟენევა, შვეიცარია).

# 22



გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სამუშაო შეხვედრას „ტექნოლოგიების გადაცემა და სახელმწიფოს ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი“, რომელიც ორგანიზებული იყო WIPO-ს და USPTO-ს მიერ. სწავლება მოიცავდა თემებს, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების გადაცემასთან და ინტელექტუალური საკუთრების მართვასთან, რომელიც შექმნილია სამთავრობო კვლევით ლაბორატორიებში და ინსტიტუტებში სახელმწიფო დაფინანსებით (ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ).

# 25



გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე დაძმობილების პროექტის (GE/16 ENI EC 0318) „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ მმართველი კომიტეტის რიგით მეორე შეხვედრა, სადაც წარდგენილ იქნა პროექტის მომდევნო 6 თვის სამუშაო გეგმა და შესრულებული სამუშაოები. ზემოაღნიშნული გეგმა ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, კანონქვემდებარე აქტების შესწავლას, გადამუშავებას და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი მარეგულირებელი აქტების შემუშავებას (საქართველო, მცხეთა).

## აკვისტო

# 12



მონღოლური კომპანიის „ტავანბოგდ ინტერნეიშენალის“ (Tavanbogd International LLC) მიერ, მონღოლეთის ტერიტორიაზე არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრირებული ქართული ადგილწარმოშობის დასახელება „ქინძმარაული“, ქართული ღვინის ჯიშების „საფერავი“, „რქანითელი“ და ნიშანი „ალაზნის ველი“ ბათილად იქნა ცნობილი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტი, განახორციელა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ქართული ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანიის მომართვის საფუძველზე, რომელსაც ზემოაღნიშნული რეგისტრაციების გამო, შეზღუდული ჰქონდა მონღოლეთში ღვინის ექსპორტი. მონღოლეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო პალატაში, საქპატენტის მიერ შეტანილ დასაბუთებულ და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებულ სარჩელებზე ოფიციალური გადანაცვტილების ასლი უწყებას ჩაბარდა.

2



მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის (WIPO) და ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) ორგანიზებით, ჩატარდა ინტერნაციონალური შეხვედრა ეროვნულ და ინსტიტუციურ სტრატეგიულ ჩარჩოებში TISC-ის (ტექნოლოგიისა და ინოვაციების მხარდაჭერის ცენტრები) ინტეგრაციის შესახებ. ინტერნაციონალური შეხვედრის მიზანი იყო TISC-ის ეროვნულ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში ინტეგრაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის განხილვა და გავრცელება. შეხვედრაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა წარადგინეს პრეზენტაციები, როგორც TISC-ის კოორდინატორი და მას-პინძელი ქვეყნის სტატუსით, რომლებიც, ასევე, არიან TISC-ის მსოფლიო ქსელის წევრები. საქართველის დელეგაციამ უწყების მონაწილეებს გააცნო დეტალური ინფორმაცია ქვეყანაში TISC-ის ეგიდით ჩატარებული ღონისძიებების და დაინტერესებულ პირთათვის მიწოდებული მომსახურებების შესახებ (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჰანგჟოუ).

10

ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის WIPO-ს მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიღების, ასევე, სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარების და საქართველოში არსებული მექანიზმების შესახებ კოლეგებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს წარმომადგენელი დაესწრო სამუშაო შეხვედრას, რომელიც ორგანიზებული იყო WIPO-ს და ბულგარეთის რესპუბლიკის საპატენტო უწყების მიერ (ბულგარეთი, სოფია).

16



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში – საქპატენტი, დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) პროფესიული განვითარების კურსი – გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ. WIPO-ს აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული, ინგლისურენოვანი საერთაშორისო სასწავლო კურსი – „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ 2019 წელს მესამედ ჩატარდა საქართველოში. სფეროში საქართველოს წარმატებული გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, სადაც WIPO-ს აკადემიის გადაწყვეტილებით, პროფესიული განვითარების კურსი ტარდება.

17



მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019-ის ფარგლებში, სამეცნიერო პიკნიკი გაიმართა, რომელშიც ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმაც მიიღო მონაწილეობა. წინა წლების მსგავსად, უწყებამ ბავშვებისთვის ჩაატარა სახალისო გაკვეთილები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. გამოგონებებისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, გაიმართა სხვადასხვა თამაშები და საინტერესო აქტივობები. შემეცნებით – გასართობი საშუალებებით მოზარდებმა მიიღეს ინფორმაცია გამოგონებებისა და ინოვაციური პროდუქტის შექმნის მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში (საქართველო, თელავი).

19



საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიული აღნიშვნების მე-2 სამიტში, რომელმაც დარგში მოღვაწე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები წარსდგინა მოხსენებებით. სამიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა თურქეთის საპატენტო უწყების ხელმძღვანელ პირებთან საქართველოს, თურქეთის და საერთაშორისო ექსპერტების ქვეყნებს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების დარგში მიმდინარე ურთიერთთანამშრომლობის საკითხების განსახილველად (თურქეთი, ანკარა).

# 23



გაიხსნა OriGIn-ის 2019 წლის კონფერენცია, რომელზეც 30 ქვეყნის ორასმა დელეგატმა გადახედა ბოლო კონფერენციაზე განხორციელებულ სამუშაოს და დასახეს OriGIn-ის მომავალი საქმიანობის გეგმები, როგორებიცაა ძალთა გაერთიანება უცხოური ბაზრების მონიტორინგისთვის, კონტროლის სისტემების დაფუძნება, ასოციაცია და ლისაბონის ხელშეკრულების შენევის აქტი. აღნიშნულმა ალიანსის წევრებსა და პარტნიორებს თავიანთი ქსელის გაფართოების, საუკეთესო პრაქტიკისა და შეხვედრების გაზიარების საშუალება მისცა.

# 24



გაიხსნა „საერთაშორისო კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“, რომლის ორგანიზატორია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი და გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსი – „OriGIn“. საქართველოში იმყოფებოდნენ ისეთი ცნობილი გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქტების მწარმოებლები, როგორებიცაა, „ტევილა“, „პროსეკო“, „ბავარიული ლუდი“, „ყველი პარმიჯანო რეჯანო“, „მოდენას ბალზამიკოს ძმარი“, „პარმას ლორი“ და სხვა. კონფერენციის ჩატარების მიზანი იყო, ხელი შეუწყოს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის პოპულარიზაციას, ამ სფეროში ქართველ მწარმეთა ცნობიერების ამაღლებას, უცხოელ მწარმებთან უშუალო კონტაქტების დამყარებას და საკუთარი პროდუქციის გაცნობას.

# 24



ქართული და უცხოური გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაცია გაიმართა გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. ჩურჩხელა, ტევილა, ხვანჭკარა, პარმიჯანო რეჯანო, სულგუნი და სხვა გეოგრაფიული აღნიშვნები ერთ სივცეში გამოიფინა. ღონისძიების მიზანი იყო, საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის პოპულარიზაციას, ამ სფეროში ქართველ მწარმეთა ცნობიერების ამაღლება, უცხოელ მწარმებთან უშუალო კონტაქტების დამყარება და საკუთარი პროდუქციის გაცნობა.

# 30 DesignClass

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი მიუერთდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) DesignClass-ის ინსტრუმენტს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოიძიოს და თარგმნოს პროდუქტის დასახელებები 27 ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზეც. აღნიშნული დასახელებები ჰარმონიზებულია ინტელექტუალური საკუთრების 30 უწყების მიერ. EUIPO-სა და საქპატენტს შორის თანამშრომლობა, 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება. DesignClass-თან მიერთების მიზანი როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მომხმარებლებისთვის, DesignClass-თან ჰარმონიზებულ უწყებებში დიზაინების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივებაა. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა DesignClass-თან ევროკავშირის არანაწევრი ქვეყნის მიერთების პირველი პრეცედენტია. DesignClass-ი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე – <https://euipo.europa.eu/designclass/>



1

გაიმათა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს ორ უწყებას შორის თანამშრომლობის საკითხები და მიმდინარე პროექტები. საქპატენტი EUIPO-სთან თანამშრომლობს სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის მიმართულებით, მათ შორის აღნიშნულ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავების კუთხით (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

2



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ოფისში გაიმართა უწყების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ პირთა შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ აშშ-ს კონგრესის თანამშრომლებთან. მხარეებმა აღნიშნეს ურთიერთთანამშრომლობით მიღწეული წარმატებები და განიხილეს სამომავლო გეგმები. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სიახლეები. როგორც ცნობილია, ამერიკელი პარტნიორების დახმარებით საქპატენტმა განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, შეიქმნა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, ჩატარდა ღონისძიებები, რომელთა მიზანსაც, მათ შორის, საზოგადოების ცნობიერების, საქპატენტის თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენდა.

9



დასრულდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური ასამბლეის 59-ე სესია, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაციამ, თავმჯდომარის, გენადი ლებანიძის ხელმძღვანელობით. აღნიშნული სესიის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოთა კონსენსუსის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ჟენევასთან აკრედიტებული გაეროს ორგანიზაციებში, ვიქტორ დოლიძის 2020 წლისთვის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად არჩევის შესახებ, რაც წარმოადგენს საქართველოს აქტიური ჩართულობის შედეგს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

11



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, მცირე და საშუალო მენარმეთათვის და საწარმოებისათვის, გაიმართა სამუშაო შეხვედრა გეოგრაფიულ აღნიშვნებზე, გამოგონებასა და ინოვაციებზე. შეხვედრა „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SMES VIP4SME) პროექტის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ და ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და პირისპირ შეხვედრების გამართვას და ეხმარება ქართველ მენარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მათთვის დამატებითი ეკონომიკური ღირებულების შექმნას.

# 12



გაიმართა ღვინის ფესტივალი, რომლის მიზანია ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ღვინის კულტურისა და ქართული ტრადიციების გაცნობა როგორც უცხოელი, ასევე ქართული საზოგადოებისთვის. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო გლეხების მიერ ქვევრში დაყენებული ღვინო, დიდი და მცირე მარნების მიერ წარმოებული 150-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა ფერისა და ასაკის ღვინო, ჭაჭა და სხვა სასმელები, ტრადიციულ კერძებთან ერთად. ფესტივალში, ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ მენარმეებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტი. უწყების მიერ წარმოდგენილი იყო საინფორმაციო სტენდი, რომელზეც კონკრეტულად კახეთის რეგიონში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელებებით დაცული პროდუქცია გამოიფინა (საქართველო, გურჯაანი).

# 15



გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ლაბორატორიის ჯგუფის შეხვედრების მესამე რაუნდი, რომელიც წარმოადგენს რეგიონულ პროექტს, აერთიანებს 3 ქვეყანას (უკრაინა, საქართველო, მოლდოვა) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მომზადდა, რაც ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის იმპლემენტაციის ხელშეწყობას საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში (უკრაინა, კიევი).

# 15




გაიმართა ევროკავშირის ინიციატივისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებული „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SME – VIP4SME) პროექტის რიგით მე-4, მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრა, რომელსაც დაესწრო საქპატენტის დელეგაცია, პროექტში მონაწილე უწყების სტატუსით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, რომელიც ეხმარება მენარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, საქპატენტი რეგულარულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს და სემინარებს (მალაგა, ესპანეთი).

# 17



სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაქმებისა და სტაჟირების ფორუმზე საქპატენტთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა რომელიც ითვალისწინებს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) მიერ დაფინანსებულ პროფესიული განათლების პროგრამების მონაწილე სტუდენტების საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლას, საქპატენტის სასწავლო ცენტრის მიერ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში განხორციელებულ სასწავლო პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობას, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით, ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებას.

# 20



გაიმართა WIPO-ს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCCR) 39-ე სესია, რომელზეც განხილულ იქნა საავტორო უფლებებიდან გამონაკლისები და შეზღუდვები ბიბლიოთეკებისა და არქივებისთვის, საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციებისთვის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებების დაცვა. საქპატენტის წარმომადგენელი სესიას ესწრებოდა, როგორც ცენტრალური ევროპის და ბალტიის ქვეყნების რეგიონალური ჯგუფის (CEBS) წევრი ქვეყნის სტატუსით, რომელიც საქართველოს გააჩნია 2015 წლიდან (შვეიცარიის კონფედერაცია, ჟენევა).

21



ხელი მოეწერა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება მხარეთა შორის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, რაც, ასევე, მოიცავს გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვას. შეთანხმება ჩაანაცვლებს, ბრექსიტის შემდგომ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ ასოცირების შეთანხმებას (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ლონდონი).

30



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, გენადი არველაძისა და ევროპის საპატენტო უწყების პრეზიდენტის, ანტონიო კამპინოსის მიერ, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი ევროპული საპატენტო განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება მასზე გაცემული ევროპული პატენტის საქართველოს ტერიტორიაზე ვალიდირება, რაც საერთაშორისო განმცხადებლებს გაუმარტივებს საქართველოში გამოგონებების დაპატენტების პროცედურას (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მიუნხენი).

30

ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმებას, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი ევროპული საპატენტო განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება მასზე გაცემული ევროპული პატენტის საქართველოს ტერიტორიაზე ვალიდირება, რაც საერთაშორისო განმცხადებლებს გაუმარტივებს საქართველოში გამოგონებების დაპატენტების პროცედურას (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მიუნხენი).

## ნოემბერი

4

უწყების წარმომადგენელი დაესწრო WIPO- ს სასაქონლო ნიშნების დიზაინების და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCT) 42-ე სესიას, რომელზეც განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის, ქვეყნის სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვის შესახებ (დოკუმენტი – SCT/39/8 Rev.3) და დომენური სახელების სისტემაში (DNS) ქვეყნის სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვის შესახებ (დოკუმენტი – SCT41/6) (შვეიცარიის კონფედერაცია, ვენეცია).

4



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქპატენტის წარმომადგენელმა გაიარა რიგით მე-10 საერთაშორისო სასერთიფიკატო კურსი AICC – „ინტელექტუალური საკუთრების აქტივების მართვა ბიზნესის წარმატებისთვის“, რომლის ორგანიზატორი იყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), კორეის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (KIPO), კორეის ინოვაციების პოპულარიზაციის ასოციაცია (KIPA) და კორეის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (KAIST). სწავლება მოიცავდა თემებს, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციების მენეჯმენტთან და ინტელექტუალური საკუთრების აქტივების სტრატეგიულ მართვასთან. კურსი შეეხო ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტის საკანონმდებლო, პოლიტიკურ და პრაქტიკულ ასპექტებს (კორეის რესპუბლიკა, სეული).

7



ოფიციალურად გამოცხადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტი (Twinning), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის დანერგვას. საჯარო სამსახურების Twinning-ის პროექტი საქართველოსადმი ევროკავშირის სექტორული მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილია, რომლის განსახორციელებლად ევროკავშირის მიერ გამოიყო 1.5 მილიონი ევრო და იგი დაევისრა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოცემულ სფეროში ეროვნულ სამსახურებს (იტალია და საფრანგეთი). პროექტის მთავარი ბენეფიციარია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, რომელსაც ეძლევა საშუალება ევროკავშირის დახმარებით, წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით, შექმნას ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური მექანიზმები, რომლებიც გააძლიერებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის სისტემას, ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში კომპეტენციის გაზრდასა და ცოდნის გაღრმავებას.

11



სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცედურაზე ცოდნის ამღობის მიზნით, პროფესიული განვითარების პროგრამა – სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი და ექსპერტიზა გაიარა საქპატენტის წარმომადგენელმა. სემინარი ორგანიზებული იყო WIPO-ს, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სასწავლო ინსტიტუტის (IIPTI) და KIPO-ს მიერ და მონაწილეებს მიეცა საშუალება კორეის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის მუშაობის თავისებურებების და, ასევე, კორეის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცედურის გაცნობის (სამხრეთ კორეა, დეჯონი).

13



საქპატენტის წარმომადგენელი მოხსენებით წარსდგა WIPO-ს და უზბეკეთის საპატენტო უწყების მიერ ერთობლივად ორგანიზებულ რეგიონულ სემინარზე „ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგია და ინოვაციის განვითარება“. სემინარზე განხილულ იქნა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის მიღებასა და მისი იმპლემენტაციის მიმართულებით (უზბეკეთი, ტაშკენტი).

15



გაიმართა ყოველწლიური, რიგით მე-9, მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ დაჯილდოების ცერემონია. კონკურსი, რომლის მიზანია ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მობარდების ინტერესის გაღვივება, სწავლის დონის ამღობის ხელშეწყობა, გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების გამოვლენა და შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სტიმულირება, 2010 წლიდან ტარდება და კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრების შეფასებაში ყოველწლიურად ჩართულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი.

18

გაიმართა საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საქართველოსა და თურქეთს შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთაღიარების და დაცვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაგრძელების შესაძლებლობა (თურქეთის რესპუბლიკა, ანკარა).

# 19



გაიმართა პროექტის “მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში, გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით” წარმატებულად დასრულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა პროექტის შედეგების შეჯამებასა და მიღებული გაკვეთილების წარმოჩენას. საქართველოში ეფექტური გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროექტს 2017 წლიდან ახორციელებდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), და თანამშრომლობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან.

# 26



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტი, უმასპინძლა გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროს ექსპერტებისა და ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრას, რომელიც გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის დანერგვა“ ფარგლებში. შეხვედრის მიზანი იყო მწარმოებლებისა და ასოციაციების რესურსების შეფასება და მათი საჭიროებების დადგენა, რათა მომავალში მათ შეძლონ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემაში თავიანთი როლისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა.

# 28



გაეროს ევროპისა და ცენტრალური აზიის სურსათის და სოფლის მეურნეობის უწყების (FAO) ორგანიზებით, გაიმართა რიგით მეორე რეგიონალური საკონსულტაციო შეხვედრა გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უწყების წარმომადგენელმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო დაცვისა და რეგისტრაციის, სერტიფიცირებისა და შესაბამისობის დადგენის საკითხები. ასევე, ყურადღება გამახვილდა წარმოშობის ადგილსა და პროდუქტის სპეციფიური ხარისხის კავშირის დადგენასთან, შიდა კონტროლის მექანიზმებთან, ბაზრის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე (უნგრეთი, ბუდაპეტი).

## დეკემბერი

# 16

ევროკავშირის არანევრი ქვეყნების საპატენტო უწყებების წარმომადგენლებისთვის შეხვედრას დაესწრო საქპატენტის დელეგაცია, რომელიც ორგანიზებული იყო EUIPO-ს მიერ. ტექნიკურ სამუშაო შეხვედრაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების წარმომადგენლები გაეცნენ პროგრამულ უზრუნველყოფას Front Office-სა და CESTO-ს, EUIPO-ს აპლიკაციების ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტებზე განაცხადების ელექტრონულად შევსებისა და წინასწარი ძიებისთვის (ესპანეთის სამეფო, ალიკანტე).

# საერთაშორისო ურთიერთობები/ 2019

2019 წელს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაგრძელდა აქტიური მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით:

## თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO)



საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ეროვნული ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების გაძლიერების, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, საქპატენტს დახმარებას უწევს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO).

- 2019 წლის 26 თებერვალს, შვეიცარიის კონფედერაციის ქ. ვენევაში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სეგმენტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ისმო-ს გენერალური დირექტორის ფრენსის გარისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, დავით ზალკალიანს შორის. შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის განმტკიცების მხრივ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან წარმატებული თანამშრომლობის საკითხებზე.
- დავით ზალკალიანმა ხაზი გაუსვა ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს სფერო ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, ასევე, მადლობა გადაუხადა გენერალურ დირექტორს მისი პირადი ჩართულობისთვის საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მიმართულებით რეფორმების გატარების პროცესში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ინტელექტუალურ საკუთრებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებაში (DCFTA) და ამ საკითხებზე საქპატენტის აქტიური მუშაობით, ეფექტურად განხორციელდა შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებები. შეხვედრაზე, ასევე, ხაზი გაესვა უწყებებს შორის წარმატებულ თანამშრომლობას ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სტრატეგიის, საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და ამ სფეროში სხვადასხვა ინიციატივების დანერგვის კუთხით.

ტეგიის, საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და ამ სფეროში სხვადასხვა ინიციატივების დანერგვის კუთხით.

- 2019 წლის 11 იანვარს, საქპატენტი შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მიერ ადმინისტრირებად პროგრამას – „მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერს (MGS)“. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით, ქართველ მომხმარებლებს, საერთაშორისო განაცხადის წარდგენისას, შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ შესაბამისი ვებ-გვერდით ქართულ ენაზე და საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალი შეადგინონ ქართულად, რაც მათ გაუადვილებს სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ნევრ ქვეყნებში. საქართველო „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის“ ნევრია 1998 წლიდან. მადრიდის სისტემა სასაქონლო ნიშნის დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელიც განმცხადებელს აძლევს შესაძლებლობას ერთ ენაზე, ერთი განაცხადის წარდგენით, დაიცვას სასაქონლო ნიშანი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ნევრ 119 ქვეყანაში, ასევე, საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალი ელექტრონულად თარგმნოს 19 სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზეც.
  - გენერალური ასამბლეა – 2019 წლის 30 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით, შვეიცარიის კონფედერაციის ქ. ვენევაში მიმდინარეობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 59-ე სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის დელეგაციამ, თავმჯდომარის, გენადი ლებანიძის ხელმძღვანელობით. აღნიშნული სესიის ფარგლებში, ნევრ სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2020 წლისთვის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად ვენევაში აკრედიტებულ გაეროს ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის, ვიქტორ დოლიძის არჩევის შესახებ, რაც წარმოადგენს საქართველოს აქტიური ჩართულობის შედეგს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში.
- წლევანდელი ასამბლეის ფარგლებში, გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარის ოფიციალური შეხვედრა ისმო-ს გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან. ფრენსის გარიმ ხაზი გაუსვა საქართველოს თვალსაჩინო მიღწევებს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე, აღნიშნა, რომ საქპატენტთან ურთიერთობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა და კიდევ უფრო ინტენსიური გახდა ორმხრივი თანამშრომლობა. გარდა ამისა, შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს მიმდინარე და სამომავლო პროექტების განხორციელების შესახებ, მათ შორის, განიხილეს ისმო-ში საქართველოს მეტი წარმომადგენლის დასაქმების პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე.

საქპატენტის თავმჯდომარე ამასთანავე შეხვდა ისმოს გენერალური დირექტორის მოადგილეს ბინინგ ვანგს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ისმო-სთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, საქპატენტი გახდა მესამე უწყება მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც მიუერთდა ისმო-ს ადმინისტრირებად პროგრამა „eFiling“-ს, რისი საშუალებითაც ქართველ მომხმარებლებს საშუალება მიეცათ, წარადგინონ საერთაშორისო განაცხადი ელექტრონულად, რაც მათ უადვილებს „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის“ წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. ასევე, აღინიშნა ფაქტი, რომ საქპატენტი შეუერთდა ისმო-ს მიერ ადმინისტრირებად პროგრამას – „მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერს (MGS)“, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საქონლის ან/და მომსახურების ჩამონათვალი ელექტრონულადვე თარგმნოს 19 სხვადასხვა ენაზე, რომელთა შორის უკვე ქართული ენაც არის.

ამასთან, შეხვედრაზე ქალბატონმა ვანგმა აღნიშნა, რომ ისმო აქტიურად გააგრძელებს საქპატენტის მხარდაჭერას, მადრიდის MGS სისტემაში უწყების სრული ინტეგრაციის პროცესის დასრულებაში, რაც გულისხმობს MGS მენეჯერის საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვალის თარგმნას, რაც გაამარტივებს სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის პროცესს, ასევე, გაუადვილებს ქართველ მომხმარებლებს საერთაშორისო განაცხადის შევსებას „eFiling“-ის სისტემის მეშვეობით.

საქპატენტის დელეგაციამ შეხვედრები გამართა ისმო-ს აკადემიის დირექტორთან, ბატონ შერიფ საადალასთან. შეხვედრის ფარგლებში აღინიშნა საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ მონიშნავ კურსის მნიშვნელობა, რომელიც მესამედ ჩატარდა საქართველოში და წელსაც მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც მონაწილეების, ისე ისმო-ს აკადემიის წარმომადგენლების მხრიდან. ამასთან, წარმატებულად შეფასდა საქპატენტის სასწავლო ცენტრში ლექტორების გადამზადების და სასწავლო პროგრამების შემუშავების (TOT), აგრეთვე, ისმო-ს აკადემიის დისტანციური სწავლების ქართულენოვანი კურსის (DL101GE) პროექტი. გარდა ამისა, მხარეებმა განიხილეს მომავალში საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სამაგისტრო კურსის ორგანიზებისა და უფრო მაღალი საფეხურების ისმო-ს აკადემიის დისტანციური პროგრამების ქართულ ენაზე თარგმნისა და გადაამუშავების შესაძლებლობაც.

შეხვედრა გამართა ასევე უკრაინის დელეგაციასთან, სადაც მხარეებმა განიხილეს „საქართველოსა და უკრაინის შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოსაწერად მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი.

**ისმო-ს კომიტეტები და სამუშაო შეხვედრები:**

2019 წელს საქპატენტის ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები ესწრებოდნენ ისმო-ს მუდმივმოქმედი კომიტეტების სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს. კერძოდ:

- 8-11 აპრილს, შვეიცარიაში, ქ. ვენევაში, ისმო-ში გამართა სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო დი-

ზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების (SCT) მუდმივმოქმედი კომიტეტის 41-ე სესია. სესიაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, საქართველოსა და ისმო-ს 11 წევრი ქვეყნის მიერ წარდგენილი ორი წინადადება: ქვეყნის სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვის შესახებ (დოკუმენტი – SCT/39/8 Rev.3) და დომენური სახელების სისტემაში (DNS) ქვეყნის სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვის შესახებ (დოკუმენტი – SCT41/6).

სესიის ფარგლებში, გამართა შეხვედრა გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო ალიანსის OriGIn-ის ხელმძღვანელობასთან, სადაც განხილულ იქნა OriGIn-ის 2019 წლის გენერალური ასამბლეის თბილისში ჩატარების დეტალები.

- 22-26 ივლისს, შვეიცარიაში, ქ. ვენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში, ჩატარდა რიგით მე-17-ე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მადრიდის სისტემის სამართლებრივი განვითარების საკითხებზე.
- 2019 წლის 2-4 ივლისს, პორტუგალიაში, ქ. ლისაბონში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და პორტუგალიის სამრეწველო საკუთრების ინსტიტუტის ორგანიზებით, გამართა გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი.
- 2019 წლის 21-25 ოქტომბერს, შვეიცარიაში, ქ. ვენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში გამართა საავტორო და მომიჯნავე უფლებების (SCCR) მუდმივმოქმედი კომიტეტის 39-ე სესია.
- 4-7 ნოემბერს, შვეიცარიაში, ქ. ვენევაში, ისმო-ში გამართა სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების (SCT) მუდმივმოქმედი კომიტეტის 42-ე სესია.

ამასთან, 13-15 ნოემბერს, ქართველი მოსამართლე დაესწრო შვეიცარიაში, ქ. ვენევაში, ისმო-ში გამართულ მოსამართლეთა საერთაშორისო ფორუმს.

**ისმო-ს აკადემიის ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:**

- დისტანციური სწავლების კურსი „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი (DL101GE)“. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თანამშრომლობით, 2018 წლიდან ქართულ ენაზე, უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა, ისმო-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსი „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი (DL101GE)“. კურსის შესწავლა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მონაწილეებს გადაეცემათ ისმო-ს აკადემიის მიერ, საქპატენტთან ერთად გაცემული სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ისმო-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ცალკეული დარგების შესახებ განვითარებული საფეხურის კურსების შესწავლა. კურსს ხელმძღვანელობენ ისმო-ს მიერ აკრედიტირებული სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენერები (ტუტორები).

გეოლოგიური კურსი ქართულ ენაზე (DL101GE), 2019 წელს სამჯერ ჩატარდა. კურსზე რეგისტრირებულია საერთო რაოდენობა სულ 406 მონაწილე. კერძოდ:

1. 2019 წელს პირველი კურსი (DL101GE19S1) ჩატარდა 2019 წლის 21 თებერვლიდან – 28 მარტის ჩათვლით. კურსზე რეგისტრაცია შესაძლებელი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ძირითადად კურსის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოში აკრედიტირებული სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები და ადვოკატები, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. კურსზე დარეგისტრირდა 121 მონაწილე.
  2. მეორე კურსი (DL101GE19S2) ჩატარდა 2019 წლის 11 მაისიდან – 26 ივნისამდე. კურსზე დარეგისტრირდა 57 მონაწილე.
  3. მესამე კურსი (DL101GE19S3) ჩატარდა 2019 წლის 25 ოქტომბრიდან – 10 დეკემბრის ჩათვლით. კურსზე დარეგისტრირდა 228 მონაწილე.
- საერთაშორისო სასწავლო კურსი – „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ – 17-21 სექტემბერს, ისმო-ს აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, წელს მესამედ ჩატარდა ინგლისურენოვანი საერთაშორისო სასწავლო კურსი – „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში საქართველოს გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, სადაც ისმო-ს აკადემიის გადამწყვეტილებით, პროფესიული განვითარების კურსი ტარდება.

კურსი განკუთვნილია სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტებისათვის და მიზნად ისახავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. მასში მონაწილეობა მიიღო 13 ქვეყნის წარმომადგენელმა.

გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კურსს, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, უძღვებოდნენ ისმო-ს მიერ სერტიფიცირებული, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენერები.

ვიზიტის ფარგლებში, კურსის მონაწილეები ესტუმრნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს საველე ოფისს, სადაც გაეცნენ სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას და, ასევე, ესტუმრნენ კახეთის რეგიონს, სადაც მოინახულეს ადგილწარმოშობის დასახელების გეოგრაფიული ადგილი, მვენახეთის მონები და ქარხანა.

- სამაგისტრო პროგრამები: აღსანიშნავია, რომ ისმო-ს აკადემიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქპატენტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. კერძოდ, საქპატენტის თანამშრომლებს ყოველწლიურად საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ისმო-ს აკადემიის მიერ დაფინანსებულ დისტანციური სწავლების კურსებსა და სამაგისტრო პროგრამებში. 2019 წელს:

1. საქპატენტის წარმომადგენელმა წარმატებით დაასრულა მაგისტრატურის ერთწლიანი პროგრამა ჩიხეთში, ქ. შანსაიში და მიიღო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში მაგისტრის ხარისხი (Master of Laws in Intellectual Property).
2. საქპატენტის კიდევ ერთი წარმომადგენელი წარმატებით მონაწილეობდა მაგისტრატურის ერთწლიან პროგრამაში, პოლონეთში, ქ. კრაკოვში (WIPO-ს აკადემიისა და იაგელონის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ინტელექტუალური საკუთრების და ახალი ტექნოლოგიების შესახებ).

## თანამშრომლობა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციასთან (EUIPO)



- 2019 წლის ოქტომბერში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური ასამბლეის დროს გამართულ შეხვედრაზე, საქპატენტის თავმჯდომარემ და ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელმა დირექტორმა, კრისტინ არშამომ, განიხილეს საქპატენტისა და EUIPO-ს თანამშრომლობის საკითხები და მიმდინარე პროექტები. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის მიერ საქართველოს ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოში (Single Support Framework 2017-2020) საქპატენტისა და EUIPO-ს მიერ შემუშავებული პროექტის დანახვებზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, იგეგმება EUIPO-სთან თანამშრომლობა სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის, ასევე, სასაქონლო ნიშნებსა და დიზაინებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავების, EUIPO-ს დანარჩენი ინსტრუქციების იმპლემენტაციის დასრულებისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების კუთხით.
- 2019 წლის სექტემბერში საქპატენტი მიუერთდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) DesignClass-ის ინსტრუმენტს. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა DesignClass-თან ევროკავშირის არანევერი ქვეყნის მიერთების პირველი პრეცედენტი და EUIPO-სა და საქპატენტს შორის 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება. DesignClass-თან მიერთების მიზანი როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მომხმარებლებისთვის, DesignClass-თან ჰარმონიზებულ უწყებებში, დიზაინების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებელს საშუალება ეძლევა მოიძიოს და თარგმნოს პროდუქტის დასახელებები 27 ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზეც. დასახელებები ჰარმონიზებულია ინტელექტუალური საკუთრების 30 უწყების მიერ.
- 2019 წლის 30-31 მაისს, ქ. ალიკანტეში (ესპანეთი), ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სათაო ოფისში, გაიმართა რიგით მეორე კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრება და მედიაცია“. აღნიშნული კონფერენცია ჩატარდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო პალატის, EUIPO-ს აკადემიისა და EUIPO-ს იურიდიული და საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის ორგანიზებით. მედიაცია წარმოადგენს მზარდ მიმართულებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და მეთოდს, რომელსაც სულ უფრო ხშირად მიმართავენ დავების გადაწყვეტისას. ჯგუფური დისკუსიების, აუდიტორიასთან ინტერაქტიული ურთიერთობისა და რეალური მაგალითების მეშვეობით კონფერენციაზე განიხილეს მედიაციის უპირატესობები და სხვადასხვა საშუალებები. (მედიაციის დამატებითი ღირებულება; ინტელექტუალური საკუთრების მედიაციის მიმართულებები და პრაქტიკა მსოფლიოში; ინტელექტუალური საკუთრების მედიაცია სასამართლოში; ხელოვნური ინტელექტი და მედიაცია; ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებში ჩარევისა და მათზე გავლენის მოხდენის უნარ-ჩვევები; ჰიბრიდული მედიაციის საშუალებები).



**თანამშრომლობა ევროპის საპატენტო ორგანიზაციასთან (EPO)**



2019 წლის 30 ოქტომბერს, ქ. მიუნხენში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, გენადი არველაძისა და ევროპის საპატენტო უწყების პრეზიდენტის, ანტონიო კამპინოსის მიერ, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ.

ევროპის საპატენტო ორგანიზაციისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის მოლაპარაკებები ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმებაზე 2012 წლიდან მიმდინარეობდა, რის შედეგად მხარეთა მიერ გამოხატულ იქნა ინტერესი აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით. ვალიდაციის შეთანხმების შესაბამისად, განმცხადებლებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ თავიანთი ევროპული საპატენტო განაცხადებისა და ევროპის საპატენტო უწყების მიერ გაცემული პატენტების ვალიდაცია საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროპის საპატენტო კონვენციის მონაწილე ქვეყანა. საქართველოში ვალიდირებულ ევროპულ განაცხადებსა და პატენტებს იგივე სამართლებრივი ძალა ექნებათ, რაც გააჩნია ქართულ განაცხადებსა და პატენტებს, ამასთან, სამართლებრივი ქმედებები ვალიდირებულ ევროპულ პატენტთან დაკავშირებით დარეგულირდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი ევროპული საპატენტო განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება მასზე გაცემული ევროპული პატენტის საქართველოს ტერიტორიაზე ვალიდირება, რაც საერთაშორისო განმცხადებლებს გაუმარტივებს საქართველოში გამოგონებების დაპატენტების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ საქართველო მიზნად ისახავს ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში განუერთიანებას. შესაბამისად, ვალიდაციის შეთანხმებაზე ხელმოწერა გაამარტივებს მოლაპარაკებების პროცესს მხარეებს შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის წევრობა, შემდგომში კიდევ უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის ბევრი მიმართულებით. საქართველოს EPO-ში განუერთიანება ინვესტორებისთვის იქნება გზავნილი, რომ საქართველო არის ევროპული საპატენტო ოჯახის წევრი და რომ საქართველოში საპატენტო უფლებები დაცულია ევროპის ქვეყნებში არსებული დაცვის ხარისხის შესაბამისად.

ამ ეტაპზე, თანამშრომლობა ევროპის საპატენტო ორგანიზაციასა და საქპატენტს შორის მოიცავს საპატენტო ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და ქართველი საპატენტო ექსპერტების ტრენინგებს. ვალიდაციის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ორმხრივი ტექნიკური თანამშრომლობა ორ უწყებას შორის გაღრმავდება, მეტი ყურადღება დაეთმობა ინტელექტუალური საკუთრების განვითარებასა და საპატენტო სფეროში ცნობიერების ამაღლებას, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნული ინოვაციის განვითარების საქმეში.

ევროპის საპატენტო ორგანიზაცია (EPO) წარმოადგენს ევროპის მასშტაბით მეორე უმსხვილეს საჯარო სერვისების განმახორციელებელ ორგანიზაციას. EPO ახდენს გამოგონებებზე საპატენტო განაცხადების ექსპერტიზას და გასცემს ევროპულ პატენტებს, მისი საქმიანობა მიმართულია ევროპის მასშტაბით ინოვაციის, კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისაკენ, რასაც იგი უზრუნველყოფს ევროპის საპატენტო კონვენციის შესაბამისად მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებით. დღეისათვის, ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში (EPO) განუერთიანებულია 38 წევრი ქვეყანა, რაც მოიცავს ევროკავშირის ყველა, 28 წევრ სახელმწიფოს და ასევე, ევროკავშირის ზოგიერთ არაწევრ ქვეყნებს.

**თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან**



2019 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან. საქპატენტის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, საქართველოში აშშ-ს საელჩოს, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID), აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და აშშ-ს პატენტებისა და ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (USPTO) ხელშეწყობით, გაიმართა შემდეგი შეხვედრები და ღონისძიებები:

- 2019 წლის 15 მაისს გაიმართა შეხვედრა საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის გენერალურ მრჩეველს, პიტერ დევიდსონსა და საქპატენტის ხელმძღვანელობას შორის. მხარეებმა განიხილეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი და CLDP-ს თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და სამომავლო ერთობლივი პროექტები. ვერძოდ, CLDP-ის დაფინანსებით მიმდინარე ღონისძიებები, რომელთა მიზანია სხვადასხვა მიზნობრივი აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. უწყება ყოველწლიურად უწევს ორგანიზებას ტრენინგებს მოსამართლეების, ჟურნალისტების, ადვოკატებისა და სტუდენტებისათვის, ასევე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ექსპერტების სასწავლო ვიზიტებს აშშ-ში და ამერიკელი ექსპერტების ვიზიტებს საქართველოში, ქართველი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. CLDP-ის მხარდაჭერით ყოველწლიურად საქპატენტი ორგანიზებას უწევს კონფერენციას – „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ“. ტრენინგებისა და საკონსულტაციო მომსახურებების უზრუნველყოფის გზით, CLDP-ი მუშაობს ბიზნესის სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებაზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. საქპატენტი და მისი მხარდაჭერა კი რჩება CLDP-ის ერთ-ერთ სტრატეგიულ და პრიორიტეტულ უწყებად.
- 2019 წლის 18 – 19 ივლისს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამარ-

თლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, გაიხსნა რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. კონფერენციის მიზანია მონაწილეთა ინფორმირება კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოწვევების შესახებ, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა; ვერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავება, უწყებათა შორის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და უფლებების აღსრულების მიმართულებით დაინტერესებულ პირებს შორის კონტაქტების დამყარება.

- 2019 წლის 20 – 21 ივლისს, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ქართველი მოსამართლეებისთვის. ღონისძიების პარტნიორები არიან საქპატენტი, აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP), იუსტიციის სახლის უმაღლესი სკოლა და საქართველოს სავაჭრო უფლებათა ასოციაცია.

შეხვედრაზე ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. ასევე, საქპატენტის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს უწყების სააპელაციო პალატის და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, მოისმინეს ამერიკელი მოსამართლეების მოსაზრებები და რეკომენდაციები. ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით გამოცდილების გაზიარება ხელს უწყობს და ეხმარება ქართველ მოსამართლეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იმპლემენტაციაში.

- 2019 წლის 2 ოქტომბერს საქპატენტის ოფისში, გაიმართა უწყების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ პირთა შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ აშშ-ს კონგრესის თანამშრომლებთან. მხარეებმა აღნიშნეს ურთიერთთანამშრომლობით მიღწეული წარმატებები და განიხილეს სამომავლო გეგმები. ასევე, განხილულ იქნა საქართველოში, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, არსებული სიახლეები.

როგორც ცნობილია, ამერიკელი პარტნიორების დახმარებით საქპატენტმა განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, შეიქმნა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, ჩატარდა ღონისძიებები, რომელთა მიზანსაც, მათ შორის, საზოგადოების ცნობიერების, საქპატენტის თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენდა.

**თანამშრომლობა დიდ ბრიტანეთთან**



2019 წლის 21 ოქტომბერს დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ლონდონში ხელი მოეწერა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და

თანამშრომლობის შეთანხმებას. აღსანიშნავია, რომ შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება მხარეთა შორის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, რაც, ასევე, მოიცავს გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვას. აღნიშნული შეთანხმება ჩაანაცვლებს, ბრექსიტის შემდგომ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ ასოცირების შეთანხმებას. დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს და ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს სტრატეგიული პარტნიორობისთვის, ასევე, უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შენარჩუნებას საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, რომელთანაც გაერთიანებული სამეფო მსგავსი სახის შეთანხმებას აფორმებს.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)**



- 2019 წლის 19 თებერვალს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ოფისში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაფინანსებული პროექტის „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის ფარგლებში, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, განხილულ იქნა გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების შედგენის, წარმოშობის ადგილსა და საბოლოო პროდუქტს შორის კავშირის დადგენისა, და სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანის საკითხები. ასევე, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბრენდინგის და მარკეტინგის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილ მარკეტინგული საბჭოს როლსა და უფლებამოსილებას. მარკეტინგული საბჭოს შემადგენლობაში შედიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლები.

- 2019 წლის 19 ნოემბერს გაიმართა პროექტის „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში, გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ წარმატებულად დასრულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა პროექტის შედეგების შეჯამებასა და მიღებული გაკვეთილების წარმოჩენას. საქართველოში ეფექტური გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროექტს 2017 წლიდან ახორციელებდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), და თანამშრომლობდა საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან. კრწანისის რეგიონის კომპლექსში გამართულ კონფერენციაზე – „საქართველოს სასურსათო მემკვიდრეობა: გზა წარმატებული და ინკლუზიური გეოგრაფიული აღნიშვნებისკენ“ მწარმოებლებისა და საცალო მოვაჭრეების მხრიდან გაზიარებულ იქნა მათი გამოცდილება, რომელმაც აჩვენა, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს გეოგრაფიული აღნიშვნების წარმატებული სქემა ხარისხიან პროდუქტებს გამორჩეული ადგილის დაკავებაში გაჭერებულ ბაზარზე. ასევე, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა ინსტიტუციებთან წარმატებული პარტნიორობის როლის შესახებ, ეროვნულ დონეზე ჩარჩო-პირობების გაუმჯობესების საქმეში.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასა“ და REDD-ის (შვეიცარია) ხელშეწყობით, რის შედეგადაც განვითარდა გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური პოტენციალი, მომზადდა პირველადი პროექტი გეოგრაფიული აღნიშვნების კანონის განახლებისათვის და ჩატარდა საქართველოს ადგილწარმოშობასთან დაკავშირებული ადგილობრივი სასურსათო პროდუქტების კვლევა. აგრეთვე, გეოგრაფიული აღნიშვნის ორი საპილოტე პროდუქტისა და მათი ღირებულებათა ჯაჭვის ხელშეწყობის მიზნით, მერძევეობის სექტორში, პროექტის გუნდმა მჭიდროდ ითანამშრომლა სულგუნისა და თუშური გუდის მწარმოებლებთან. შედეგად, განახლდა ამ გეოგრაფიულ აღნიშვნათა სპეციფიკაციები – წარმოების არსებული პრაქტიკის დეტალებისა და სურსათის უვნებლობის საკითხების გათვალისწინებით. სპეციფიკაციებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პირველად, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის ყველს შეეცვალა სტატუსი და „თუშური გუდა“ გახდა პირველი ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ყველი.

გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობასთან დაკავშირებული სხვა ნიშანდებების შექმნა და პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის მდიდარი სასურსათო მემკვიდრეობისა და მისი გამორჩეული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, აგრეთვე, მწარმოებელთა შემოსავლების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას.

**ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia)**



2019 წლის 1-5 ივლისს, საქართველოში მეოთხედ ჩატარდა საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა. საზაფხულო სკოლის პროექტი განხორციელდა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia) და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თანამშრომლობით. საზაფხულო სკოლაში მომხსენებლად მონაწილე იყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის

(WIPO) წარმომადგენელიც.

საქართველო უკვე მეოთხედ წარმატებით უერთდება იმ 22 ქვეყანას, სადაც სასწავლო კურსს უძღვებიან გამოცდილი დარგობრივი სპეციალისტები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარჩინებულ სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ხელს უწყობენ მათი ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

ლექციებს ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის საშუალებების შესახებ საქპატენტის ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სპეციალისტების გარდა, უძღვებოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი. მან საზაფხულო სკოლის მონაწილეებს გააცნო ისმოს მიერ ადმინისტრირებული საერთაშორისო შეთანხმებები და აღნიშნული შეთანხმებების საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები და პროცედურები.

სკოლის დახურვის ცერემონიაზე, საქპატენტის მცხეთის სათაო ოფისში სკოლის 25 კურსდამთავრებულს გადაეცა სკოლის სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დიპლომები. წლევანდელი საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებულები არიან სტუდენტები ევროპის 10 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან (ავსტრია, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, სლოვენია, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, საქართველო).

**ევროკავშირის ინიციატივისა და კვლევების პროგრამა „Horizon 2020“**



2019 წლის 11 თებერვლს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა გეოგრაფიულ აღნიშვნებზე, გამოგონებასა და ინოვაციებზე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში გამართული შეხვედრა „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SMES VIP4SME) პროექტის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის ინიციატივისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ და ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და პირისპირ შეხვედრების გამართვას. პროექტი ეხმარება ქართველ მენარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მათთვის დამატებითი ეკონომიკური ღირებულების შექმნას.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი 2016 წელს ჩაერთო VIP4SME-ის პროექტში და რეგულარულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს და სემინარებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით.

# კონფერენციები/ 2019



სახელი:

**„დიზაინი – ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი“**

თარიღი და ადგილი:

**7-8 მაისი, 2019 წელი, თბილისი, საქართველო**

ორგანიზატორები:

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი;  
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)**

2019 წლის 7-8 მაისს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „დიზაინი – ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი“, რომელიც მიემდგვნა თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის – დიზაინის, როგორც ბიზნესის წარმატებისა და პროდუქტის ეკონომიკური ღირებულების გაზრდის მნიშვნელობის განხილვას. ასევე, ინტელექტუალური

საკუთრების აღნიშნული ობიექტის პოპულარიზაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან დიზაინის დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და აღნიშნული მიმართულების განვითარებას.

კონფერენციაზე მონაწილე საერთაშორისო ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს დიზაინის დაცვის მექანიზმები, მათ შორის, დიზაინების რეგისტრაციის ჰააგის საერთაშორისო სისტემა. კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა დიზაინის როლზე ბრენდინგის სტრატეგიაში. მოდის ქართული ინდუსტრიის წარმომადგენლებმა იმსჯელეს მოდის, საათებისა და ავტომობილების სფეროში დიზაინის მფლობელთათვის დიზაინის გამოყენების თანამედროვე სტრატეგიებსა და ტენდენციებზე. გარდა ამისა, კონფერენციაზე განიხილება დიზაინის გამოყენების წარმატებული მაგალითები საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, სხვადასხვა საჯარო უწყებების, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO), პარტნიორი ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები.





**სახელი:  
„საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის  
წინააღმდეგ“**

თარიღი და ადგილი:  
**18-19 ივლისი, 2019 წელი, ბათუმი, საქართველო**

ორგანიზატორები:  
**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი;  
ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP)**

2019 წლის 18 – 19 ივლისს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, გაიხსნა რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. კონფერენცია გაიმართა ქალაქ ბათუმში, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას კონტრაფაქციასა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გამოწვევების შესახებ, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას; კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავებას, უწყებათაშორისი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და უფლებების აღსრულების მიმართულებით დაინტერესებულ პირებს შორის კონტაქტების დამყარებას.

კონფერენციას ესწრებოდა 130-ზე მეტი დელეგატი, მათ შორის, სახელმწიფო სექტორის, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, ასოციაციებისა და ფონდების, ასევე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საერ-

თაშორისო გამოცდილება კონფერენციის მონაწილეებს ორი დღის განმავლობაში გაუზიარეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების (USPTO), აშშ-ს საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა, აშშ-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის, ანტიკონტრაფაქციული ქსელის (REACT), „ბიზნესი კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“ (BASCAP) საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC), რეგიონის ქვეყნების საბაჟო სტრუქტურების, ევროკავშირის დამძობილების პროექტის, ადგილობრივი და უცხოური კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა.

წელს კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონის საბაჟო ორგანოების საქმიანობას კონტრაფაქციასთან ბრძოლის მიმართულებით. აღნიშნულ საკითხზე, დისკუსიის ფარგლებში, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის და უკრაინის საბაჟო ორგანოების წარმომადგენლებმა იმსჯელეს სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებსა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო გზებზე.

კონფერენციაზე, ასევე, იმსჯელეს კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ტენდენციებსა და პრობლემებზე, მათ შორის, კონტრაფაქციული საქონლის გავლენაზე ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკონომიკაზე. განხილულ იქნა ბოლო პერიოდში კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოში გადადგმული ნაბიჯების შედეგები და არსებული გამოწვევები.

კონფერენციის პარტნიორები იყვნენ: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. კონფერენციას სპონსორობას უწევდნენ კომპანიები – „შალვინო“ და იურიდიული კომპანია „მიქაძე, გვეგჭკორი, თაქთაქიშვილი“.





სახელი:

**OriGIn-ის გენერალური ასამბლეა, საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა/დეგუსტაცია**

თარიღი და ადგილი:

**23-24 სექტემბერი, 2019 წელი, თბილისი, საქართველო**

ორგანიზატორები:

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი; გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსი – „OriGIn“**

2019 წლის 23-24 სექტემბერს თბილისში ჩატარდა „საერთაშორისო კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ და გლობალური გაერთიანება OriGIn-ის გენერალური ასამბლეა, რომლის ორგანიზატორი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი და გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსი – „OriGIn“ იყო. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა 30 ქვეყნის ორასი დელეგატი.

გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსი – „OriGIn“ წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელშიც განვერიანებულია 40-ზე მეტი ქვეყნის (მათ შორის, საქართველო) 500-მდე მენარმეთა ასოციაცია და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციები.

კონფერენციის ჩატარების დღეებში საქართველო, როგორც „OriGIn“-ის ასამბლეის მასპინძელი ქვეყანა, იქცა

გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო ცენტრად. საქართველოში იმყოფებოდნენ გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქტების ისეთი ცნობილი მწარმოებლები, როგორებიცაა: „ტევილა“, „პროსეკო“, „ბავარიული ლუდი“, „ყველი პარმიჯანო რეჯანო“, „მოდენას ბაღამიკოს ძმარი“, „პარმას ლორი“, „სკოჩ ვისკი“, „გრანა პადანო“, ყველი „კომტე“ და სხვა.

კონფერენციის ჩატარებისა და პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციის გამართვის მიზანი იყო, ხელი შეეწყო საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის პოპულარიზაციის, ამ სფეროში ქართველ მენარმეთა ცნობიერების ამაღლების, უცხოელ მენარმეებთან მათი უშუალო კონტაქტების დამყარების და საკუთარი პროდუქციის გაცნობისთვის.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO), გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO), „OriGIn საქართველოს“, „OriGIn იტალიის“, „OriGIn საფრანგეთის“, „OriGIn ესპანეთის“, ამერიკის ადგილწარმოების პროდუქტების ასოციაციის (AOPA), აფრიკის რეგიონული ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის (ARIPO), ევროკავშირის კომისიის, იტალიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შვეიცარიისა და მექსიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების, ალიკანტეს უნივერსიტეტის, ასევე, საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.



კონფერენცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი თავმჯდომარემ, გენადი ლებანიძემ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა გახსნეს.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა.

„საქართველო, აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. ახალი კანონმდებლობით და თანამედროვე მიდგომებით, რომლებიც გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვას უკავშირდება, ჩვენ უნდა შევძლოთ ამ ტრადიციების შენარჩუნება. ამასთან, მნიშვნელოვანია შევქმნათ კონტროლის ქმედითი მექანიზმებიც, რომლებიც მოგვცემს საშუალებას აღნიშნული პროდუქტების სანდოობა გაიზარდოს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროდუქციის მარკეტინგული დამატებითი ღირებულება, მხოლოდ დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების სწორად მართვით და შენარჩუნებით შეგვიძლია“.

როგორც ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი თავმჯდომარემ, გენადი ლებანიძემ განაცხადა, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. საქართველოსთვის გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, საერთაშორისო დონეზე, ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კუთხით პროგრესი ნამდვილად არსებობს. საქართველო ლიდერი ქვეყანაა რეგიონში, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებებისა თუ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის კუთხით, არაერთ საერთაშორისო შეთანხმებას შეუერთდა.

კონფერენციაზე განიხილეს გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა უცხოური ბაზრების მონიტორინგი, კონტროლის სისტემები, გეოგრაფიული აღნიშვნების მიმსგავსებებთან დაკავშირებული გამონვევები, მენარმეთა გაერთინებებს შორის თანამშრომლობის საკითხები, ასევე, ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმების ვენევის აქტი.


კონფერენციის ფარგლებში, ასევე, სამეიმოდ აღინიშნა საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის – „გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ძალაში შესვლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კონფერენციის ფარგლებში, სიტყვით გამოვიყენე შვეიცარიის კონფედერაციის ელჩი საქართველოში, პატრიკ ფრანცენი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ხვთისიაშვილი, ასევე, მოენცობა ქართული და შვეიცარული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაცია.

ასევე, აღსანიშნავია, რომ „ასამბლეის ფარგლებში ხელი მოეწერა ტევილას მმართველ საბჭოს და პარმიჯიანო რეჯიანოს ყველის დაცვის კონსორციუმს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად მოახდენენ მომხმარებელთა დაცვას, კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლას და გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებისა და დაცვის მნიშვნელობის სტიმულირებას საერთაშორისო დონეზე“.

ევროკავშირში მაღალხარისხიანი აგროპროდუქტების წარმოების სტრატეგიულ მიმართულებად გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება არის აღიარებული. იგი მიჩნეულია რეგიონული განვითარების, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის და საქვესპორტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად.

საქართველოში, დღეის მდგომარეობით, დაცულია 48 გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება: 20 – ღვინო (ატენი, ახაშენი, წინანდალი, გურჯაანი, კარდენახი, კახეთი, კოტეხი, ყვარელი, მანავი, მუკუზანი, ნაფარელი, ქინძმარაული, სვირი, თელიანი, ტიბანი, ტვიში, ვაზისუბანი, ხვანჭკარა, ხაშმის საფერავი, ბოლნისი), 8 – მინერალური წყალი (ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი, მიტარბი, უნერა, სქური, ზვარე, ბოლნისი), 13 – ყველი (სვანური სულგუნი, კობი, იმერული ყველი, მესხური ჩეჩილი, დამბალხაჭო, თუშური გუდა, გუდა, მეგრული სულგუნი, სულგუნი, ქართული ყველი, ტენილი, აჭარული ჩლეჩილი, ჩოგი), ჭაჭა, მანონი, ჩურჩხელა, ახალქალაქის კარტოფილი, ქუთაისის მწვანილი, ტყიბულის ჩაი, მაჭახელას თაფლი.





სასაქონლო

ნიშანი





# სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანზე მომუშავე ექსპერტებისა და განმცხადებლებისთვის, ექსპერტიზის პროცედურის დახვეწისა და გამარტივების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა, საქპატენტმა, 2019 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ითარგმნა ისმო-ს მიერ ადმინისტრირებადი საქონლის და მომსახურების ჩამონათვლის მენეჯერში (MGS) შეტანილი დამატებები და შესწორებები;
- გაგრძელდა განაცხადების წარდგენისა და ექსპერტიზის ელექტრონული ფაილინგის სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- საქპატენტის ელექტრონული ფაილინგის სისტემის ინტერფეისის EUIPO-ს ინტერფეისთან ჰარმონიზაციის მიზნით, დაიწყო მუშაობა განმცხადებლებისთვის EUIPO-ს ელექტრონული ფაილინგის (Front Office) ანალოგიური ინტერფეისის შექმნაზე;
- ისმო-ს ხელსაწყო MECA-ს საშუალებით საქპატენტის მონაცემთა ბაზაში დაიწყო იმ საერთაშორისო განაცხადების ავტომატური ასახვა, სადაც გავრცელების ქვეყნად მითითებულია საქართველო;
- შენარჩუნდა ელექტრონული განაცხადების ზრდის ტენდენცია და ასეთი განაცხადების რაოდენობამ შეადგინა ეროვნული პროცედურით შემოტანილი განაცხადების მთლიანი რაოდენობის 93%;
- საერთაშორისო გავრცელების მოთხოვნით, საერთაშორისო ბიუროში მადრიდის ელექტრონული ფაილინგის სისტემის Madrid eFiling საშუალებით გაიგზავნა 4 განაცხადი.

სასაქონლო ნიშნების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში, 2019 წელს ლიდერობს განაცხადები საქონლისა და მომსახურების შემდეგ

კლასებში:


- 35-ე კლასი – რეკლამა; ბიზნეს მენეჯმენტი; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 1043 განაცხადი;
- მე-5 კლასი – ფარმაცევტული პროდუქტები – 983 განაცხადი;
- მე-9 კლასი – კომპიუტერები და კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები – 866 განაცხადი.


შემოსული განაცხადების რაოდენობით ლიდერობენ შემდეგი ქვეყნები: ჩინეთი (493), აშშ (448), რუსეთის ფედერაცია (401) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (347). 2019 წელს „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმების თქმით“ საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 23 განაცხადი, ამავე დროს, შემდგომი გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 11 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანზე, ადგილობრივი განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი კლასებია:

- 35-ე კლასი – რეკლამა, ბიზნესის მართვა, ბიზნესის ადმინისტრირება, საოფისე სამსახური – 384 განაცხადი,
- 33-ე კლასი – ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა) – 382 განაცხადი;
- 43-ე კლასი – საკვები და სასმელი უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა – 247 განაცხადი;
- 32-ე კლასი – ლუდი, არაალკოჰოლური სასმელები – 172 განაცხადი;
- მე-5 კლასი – ფარმაცევტული პრეპარატები – 163 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანი		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული ნიშნები		
		2017	2018	2019	2017	2018	2019
ეროვნული პროცედურა	ადგილობრივი	1664	1373	1443	630	833	924
	უცხოური	768	691	608	548	591	647
საერთაშორისო პროცედურა		3145	3101	3339	2407	3257	2988
სულ		5577	5165	5390	3585	4681	4559





გეოგრაფიული  
აღნიშვნა და  
ადგილწარმოშობის  
დასახელება

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების დახვეწისა და განახლების, სამღვარაღრო დასახელებისა და მათზე უფლებების აღსრულების, ახალი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენის, უკვე რეგისტრირებული ობიექტების სპეციფიკაციების დახვეწის და განახლების საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 2019 წელს საქპატენტმა განხორციელა შემდეგი ღონისძიებები:

დაიწყო „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის (Twinning) პროექტის განხორციელება.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობას და ევროკავშირში არსებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან ჰარმონიზებას. პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან და იძლევა შესაძლებლობას ამ მიმართულებით წამყვანი ქვეყნების, საფრანგეთისა და იტალიის გამოცდილებისა და ცოდნის გამოარებით შექმნას ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური მექანიზმები, რომლებიც გააძლიერებს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის სისტემას, ასევე, ხელს შეუწყობს ამ სფეროში ეროვნული ინსტიტუტების კომპეტენციის გაზრდასა და ცოდნის გადრეკებას. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს მწარმოებელთა ასოციაციებისა და გაერთიანებების როლის გაზრდას გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემაში.

სსიპ – „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ მომართვის საფუძველზე, ღვინის წარმოების ტექნოლოგიური პირობებიდან და რაჭის რეგიონში არსებულ სანარმოებში ყურძნის გადამამუშავებისათვის საჭირო არასაკმარისი სიმძლავრიდან გამომდინარე, განხორციელდა ცვლილებები ქართული ადგილწარმოშობის დასახელება ღვინო – ხვანჭკარას სპეციფიკაციაში. კერძოდ, 2020 წლის დეკემბრამდე დასაშვები გახდა ყურძნის გადამამუშავება და ღვინის წარმოება ხვანჭკარას მიკროზონის ფარგლებს გარეთაც – საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ასევე, დაზუსტდა ადგილწარმოშობის დასახელება ხვანჭკარას მიკროზონის ფარგლები. დაიხვენა ღვინის წარმოების ტექნოლოგიური პირობები.

